



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 დეკემბერი 2023



N 725/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშმში შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშმში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშმში, სს „კავკასავტომავისტრალის“ საკუთრებაში არსებულ, 30 000 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.15.59.000.006), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია X-0514227, Y-4621728; X-0514231, Y-4621716; X-0514253, Y-4621709; X-0514238, Y-4621702. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ფუნქციონირებდა სს „კავკასავტომავისტრალის“ საკუთრებაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, რომელსაც 2019 წელს შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. სკრინინგის განცხადების თანახმად, აღნიშნული ობიექტი აღარ ფუნქციონირებს. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 160 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, უსახელო ღელე, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მიედინება დაახლოებით 10 მეტრში, ხოლო მდ. იორი – 90 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 390 მეტრში განთავსებულია შპს „ბორან კონსტრაქშენის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო (ს/კ: 81.12.01.627), რომლის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 120 მეტრში მდებარეობს ყარაბულაღელი ჩოლოყაშვილების გალავანშემორტყმული სასახლე და წმ. ნიკოლოზის კარის ეკლესია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავების მიზნით, ობიექტზე განთავსდება „GAYRET“-ის მარკის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, რომლის მაქსიმალური წარმადობაც შეადგენს 80 მ³/სთ-ს. დოკუმენტში საწარმოს შემადგენელი ტექნოლოგიური ობიექტებისა და საწარმოო პროცესის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სხვადასხვა თავებში, რომლებიც ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას. საწარმოში ნედლეული შეიზიდება ლიცენზირებული კარიერიდან,

ძარაგადახურული ავტოთვიტმცლელების საშუალებით. ნედლეული დასაწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-0514188, Y-4621751). საწარმო იმუშავებს წელიწადში 125 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით (1000 სთ/წელ) და წლის განმავლობაში, სველი მეთოდით, გადამამუშავებს 80 000 მ³ ქვიშა-ხრემს. სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ნედლეულისა და პროდუქციის დასაწყობების პირობებისა და ტრანსპორტირების (შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა, გამოყენებული გზები და სხვა.) საკითხები, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. ობიექტზე სასმელი წყლის შეტანა მოხდება ბუტილირებული სახით, ხოლო საწარმოო დანიშნულებით (ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამამუშავება) წყალაღება გათვალისწინებულია უსახელო ღელედან, რომელიც წარმოადგენს მდ. ივრის შენაკადს. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-0514319, Y-4621703. ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამამუშავებლად, წლის განმავლობაში, საჭიროა 90 000 მ³ წყალი (ყოველთვიურად 7 500 მ³). დოკუმენტი არ მოიცავს ზედაპირული წყლის ობიექტის (საიდანაც ხდება წყლის ამოღება), ჰიდროლოგიური მონაცემების, კერძოდ, ჩამონადენის რაოდენობისა და შიდაწლიური განაწილების რეჟიმის შესახებ ინფორმაციას, რაც დამატებითი შესწავლის საგანია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეიკრიბება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომლის დაცლა განხორციელდება, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობა შეადგენს 18 000 მ³-ს (მოხმარებული წყლის 20%). დოკუმენტის სხვადასხვა თავებში საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებით წარმოდგენილია განსხვავებული ინფორმაცია. კერძოდ, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ საწარმოო პროცესში გამოყენებული წყალი დაახლოებით 700 მეტრის მანძილზე მიედინება ბუნებრივად წარმოქმნილ ტრანშეაში, სადაც განიცდის დალექვას და ჩაედინება უსახელო ღელეში შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-0513992; Y-4621042, ხოლო, მეორე მხრივ, მითითებულია, რომ საწარმოო ჩამდინარე წყლების მექანიკური გაწმენდა მოხდება სამსექციიან სალექარში, სადაც გაიწმინდება 59,049 მგ/ლ-მდე. დოკუმენტში წარმოდგენილი საწარმოო ჩამდინარე წყლების რაოდენობა, დანაკარგის გათვალისწინებით (72 000 მ³), შეუსაბამოა საქმიანობის სპეციფიკასთან და საჭიროებს დასაბუთებას. ამასთან, ქვიშა-ხრემის გადამამუშავების მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობისა და დანაკარგის მოცულობის (72 000 მ³) გათვალისწინებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის გამოყოფასა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი მაჩვენებლები. გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი მცირეა და ამასთან, საწარმოდან დაახლოებით 390 მეტრში განთავსებულია შპს „ბორან კონსტრაქშენის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი ობიექტი, აღნიშნული საწარმოების ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესებში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილ ხმაურის გაანგარიშებაში მოცემული არ არის უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე, განხილული არ არის მოსალოდნელი ხმაურის დონის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი, ასევე, არ არის გათვალისწინებული მიმდებარედ, 390 მეტრში განთავსებული შპს „ბორან კონსტრაქშენის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მცირე მანძილის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც მოითხოვს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მიზნით განთავსდება შესაბამისი ურნები, ხოლო შემდგომი მართვა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე. სალექარში წარმოქმნილი შლამი დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომ გამოყენებული იქნება საწარმო პროცესში. დოკუმენტი არ მოიცავს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაციას, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 120 მეტრში მდებარეობს ყარაბულაღელი ჩოლოყაშვილების გალავანშემორტყმული სასახლე და წმ. ნიკოლოზის კარის ეკლესია. სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (ს/კ: 55.15.59.000.006) არ ექვევება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოს, სადაც არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალში არ აღინიშნება სხვა რაიმე ტიპის საწარმოს არსებობა, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 390 მეტრში განთავსებულია შპს „ბორან კონსტრაქშენის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო (ს/კ: 81.12.01.627). შესაბამისად, აღნიშნული ობიექტების ერთობლივი ფუნქციონირების პირობებში მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის მდ. იორზე და მის შენაკადზე (უსახელო დეღე) არსებული წყალმოსარგებლების შესახებ ინფორმაცია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლების, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მცირე მანძილისა და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც მოითხოვს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია და მოცემული არ არის საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშში შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

